

## სამოტივაციო წერილი

მე, ალექსანდრე ვახტანგოვი, ვარ მოტივირებული, ვუხელმძღვანელო საზოგადოებრივ მაუწყებელს, რათა ხელი შევუწყო ამ უაღრესად მნიშვნელოვან მედიას განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური როლის შესრულებაში.

ტელევიზიას, სატელევიზიო საქმეს, მათ შორის - საზოგადოებრივი მაუწყებელს (საზმაუს) მე ვემსახურები ორმოცი წლის მანძილზე. ჩემი გამოცდილება მოიცავს საზმაუს სამეურვეო საბჭოს წევრობასა და სხვადასხვა ტელევიზიებში საორგანიზაციო-პროდუსერულ საქმიანობას. ვარ 30 სატელევიზიო ფილმისა და 300-ზე მეტი სატელევიზიო პროგრამის პროდუსერი, რეჟისორი და ავტორი.

გარდა ადგილობრივი გამოცდილებისა, მაქვს სოლიდური საერთაშორისო გამოცდილება სატელევიზიო საქმეში. კერძოდ, ათი წლის მანძილზე, 2000 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, ვიყავი ამერიკის ტელეაკადემიის EMMY INTERNATIONAL წევრი. გარდა ამისა, ვარ ნიუ-იორკის, მონტეკარლოს, ტოკიოს, ბანფის (კანადა), მოსკოვის, მონტრიოს (შვეიცარია), უკრაინის, ბელარუსისა და თბილისის სხვადასხვა საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის ჟიურის ოფიციალური წევრი.

2010 წელს მოვიგე ფულბრაიტის სტიპენდია და ვიმუშავე ნიუ-იორკში, სადაც ჩავატარე მასტერკლასების სერია ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, შემდეგ თემებზე: „თანამედროვე სატელევიზიო რეჟისურის ტენდენციები“, „თანამედროვე მასმედია“, „სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის საფუძვლები“, „ვიდეოარტის ისტორია და განვითარება“.

ვიყავი საზმაუს სამეურვეო საბჭოს წევრი 2014-2016 წლებში, და ამდენად, მაქვს უშუალო ინფორმაცია მისი მუშაობის სპეციფიკაზე, საჭიროებებზე, განვითარების ოპტიმალურ გზებზე. მე ვიცნობ მის პოტენციალს და მაქვს ხედვა, რომელზე დაყრდნობითაც შემიძლია ვუხელმძღვანელო მის სწორ განვითარებასა და პოტენციალის რეალიზებას საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ძალიან მოკლედ, ჩემი ხედვა ასე შემიძლია ჩამოვყალიბო:

- მე ვიმუშავე იმისთვის, რომ საზმაუ უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული და ინკლუზიური გახდეს, და გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ ჩვენს ეთერში დაეთმოს დრო და სივრცე იმ ადამიანებსა და ჯგუფებს, რომელთა ხმა ნაკლებად ისმის ჩვენს საზოგადოებაში;
- ხელს შევუწყო მეტი სოციალურად ორიენტირებული პროგრამის დანერგვას; ხელს შევუწყო ინტერაქტიულობის დანერგვას, რომ მეტი შეხება, უკუკავშირის ცირკულაცია და კომუნიკაცია იყოს საზმაუსა და მის მაყურებელს/ჩვენს საზოგადოებას შორის;

- ჩავდებ მაქსიმალურ ძალისხმევას იმაში, რომ ჩამოყალიბდეს ძლიერი ნიუსრუმი, რომელსაც თან ახლდება ძლიერი ვებმაუწყებლობა;
- ვიზრუნებ იმაზე, რომ გაძლიერდეს საზოგადოებრივი ინტერნეტპლატფორმა და ის შეესაბამებოდეს მსოფლიო მასმედიის თანამედროვე მოწინავე ტენდენციებსა და მიდგომებს;
- ვხედავ უაღრესად დიდ საჭიროებას დაინერგოს მობილური ტელევიზია და არ დავიშურებ ძალისხმევას ამის ორგანიზებაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ საქართველოს რეგიონებს, იმ რეგიონების ჩათვლით, სადაც ეთნიკური უმცირესობებია კომპაქტურად ჩასახლებული, რათა მათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას შევუწყოთ ხელი;
- განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ ახლადშექმნილი ტელესკოლის პროექტის გაძლიერებას - რათა ის გამდიდრდეს სხვადასხვა საგნის, დონის, მიმართულების სწავლებით, და ონლაინ პლატფორმის საშუალებით მასზე ჰქონდეს წვდომა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას;
- დიდ ყურადღებას, დროსა და ენერჯის დავუთმობ იმას, რომ საზოგადოებას მუშაკებს ჰქონდეთ მუდმივი ტრენინგისა და განათლებისა და შესაბამისად, უწყვეტი განვითარების საშუალება - თანამედროვე მასმედიის მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების ათვისებისა და დანერგვა-განვითარების მიზნით;
- და სხვა.

რომ შევაჯამო, მაქვს სურვილი, რომ ჩემს გამოცდილებაზე და საზოგადოებას გუნდთან თანამშრომლობაზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდეს პირველი ტელევიზია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. საზოგადოებას აქვს ამის პოტენციალი, და ამ პოტენციალის რეალიზებისთვის ესაჭიროება ეფექტიანი მართვა, რომელიც დაეყრდნობა სატელევიზიო საქმის წარმოების თანამედროვე პრინციპებს.

ალექსანდრე ვახტანგოვი